ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1308190

ნომერი: AR1223930

თარიღი : 28.05.2014

გაცემის თარიღი : 04.06.2014

გაცნობის თარიღი : 04.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქავთარაძე , N 21 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა თათოშვილი პ/ნ 47001001175
- ახალციხე ვალე სტალინის ქ. კორ. 25 ბ. 48

ორგანიზაცია:

- შპს "ჯი-ემ-სი" კოდი: 401963005

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.12.2013 წ. №1032198 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს (შემდგომში – არქიტექტურის სამსახური) 28.05.2014 წ. №AR1223930 ელექტრონული განაცხადით მომართა მამუკა თათოშვილმა და მოითხოვა არქიტექტურის სამსახურის 24.12.2013 წ. №1032198 ბრძანებაში ცვლილებების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებელებთან დაკავშირებით.

არქიტექტურის სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა შემდეგი: 24.12.2013 წ. №1032198 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქავთარაძის ქუჩა №21–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.04.029.082) საოფისე შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთებად მითითებულნი არიან შპს „ჯი–ემ–სი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 401963005) და მამუკა თათოშვილი. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის ნომერი: 569220; განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13004579; ამონაწერის მომზადების თარიღი: 21/01/2013 11:49:03) თანახმად, შპს „ჯი–ემ–სი“–ს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მამუკა თათოშვილი.

განმცხადებელი – მამუკა თათოშვილი ითხოვს 28.05.2014 წ. №AR1223930 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის და გეგმა–ნახაზების შესაბამისად ცვლილების შეტანას არქიტექტურის სამსახურის 24.12.2013 წ. №1032198 ბრძანებაში მითითებულ საოფისე, სასაწყობე, საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს და საერთო ფართების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

მამუკა თათოშვილის 28.05.2014 წ. №AR1223930 განცხადებაზე დართული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმა-ნახაზებზე მითითებული შენობა–ნაგებობის შიდა ფართების დათვლისას დაშვებული იქნა შეცდომები, დაანგარიშებული ფართობების ჯამი არ შეესაბამება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ასახულ ფართობს.

შესაბამისად, არქიტექტურის სამსახურმა დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართები, რაც შემდგომ აისახა არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცემულ 24.12.2013 წ. №1032198 ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ვინაიდან, წარმოდგენილ გეგმა–ნახაზებსა და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში მითითებული ფართები შეესაბამება ერთმანეთს, არქიტექტურის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მამუკა თათოშვილის 28.05.2014 წ. №AR1223930 განცხადება.
2. შეტანილ იქნას ცვლილება არქიტექტურის სამსახურის 24.12.2013 წ. №1032198 ბრძანებაში, კერძოდ:

ა) ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში მითითებული საერთო, საოფისე, საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს და სასაწყობე ფართები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

- საერთო ფართობი (კვ.მ).: - 1329
- საოფისე ფართობი (კვ.მ).: - 1158.26
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: – 52.76
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: - 87.7
- სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: - 30.28

ბ) არქიტექტურის სამსახურის 24.12.2013 წ. №1032198 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს დაერთოს მამუკა თათოშვილის 28.05.2014 წ. №AR1223930 განაცხადით წარმოდგენილი გეგმები.

3. არქიტექტურის სამსახურის 24.12.2013 წ. №1032198 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას არქიტექტურის სამსახურის 24.12.2013 წ. №1032198 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.